

ფედერაცია აბუჩად გვიბღებს აცხადებს ილია დათუნაშვილი

თავიდანვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, ნოდარ ანდრიაძის ნაამბობიდან ნაწყვეტს შემოგთავაზებთ, ამასწინდელ „სპორტიელში“ რომ დაბეჭდეთ: „ვინ როდის ისურვებს ფედერაციის პრეზიდენტობას, ეს უკვე მისი პირადი საქმეა. ჩვენს წესდებაში კონკრეტული ვადა არ არის განსაზღვრული. დიანს, შეიძლება ვინმე ადგეს და დარბაზშივე თქვას, მე პრეზიდენტობა მინდაო.“

ეს ინტერვიუ მას შემდეგ შედგა, რაც ილია დათუნაშვილმა ოფიციალურად დაადასტურა თავისი საპრეზიდენტო კანდიდატურა საკუთარი განცხადების საფუძველზე. ილია დათუნაშვილის ქცევა ცოტა კი გვეუცნაურა, მაგრამ ნოდარ ანდრიაძის ნათქვამისა არ იყოს, მისი პირადი საქმე გახლდათ, როდის წამოაყენებდა საპრეზიდენტო კანდიდატურას. ბატონმა ილიამ ასე ახსოვინა, ყრილობამდე, დაახლოებით ორთვენახევრით ადრე ჩანაფიქრი საქმეცნობა გამოამხეურა. აღუქსანდრე ჩივაძის გარდა, სხვა შესაძლო პრეზიდენტებს ვერ სიტყვაც არ დასცდნით. დღეისათვის ყველა დუმობის არჩევს, ალბათ, მოვლენების განვითარებას ელოდს.

მოკლედ, ორი ოფიციალური კანდიდატი ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე უკვე არის. მათგან ერთ-ერთმა, წარსულში გამოჩენილმა ფეხბურთელმა, თავის დროზე „არარატისთვის“ ერთბაშად ხუთი გოლის გამტანმა ილია დათუნაშვილმა კი გუშინ წინასწარჩვენი კომპანიაც დაიწყო. მართალია, ეს უუარაღისტიკების იდეა გახლდათ, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა როდი აქვს. მთავარია, პრესკონფერენცია მოეწყო, ჩვენს კითხვებს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა ილია დათუნაშვილმა უპასუხა. ახლა მისი ვრცელი საუბრიდან უმთავრესს შემოგთავაზებთ:

— მე არავის ვეწინააღმდეგები, ვისაც ვის

უნდა, იმას მისცეს ხმა. პრეზიდენტობის იმედი რომ არ მქონდეს, კანდიდატურას არც წამოვიყენებდი. მანდატების მქონეთ ერთს ვურჩევ — სწორი გადაწყვეტილება მიიღონ, სანამ ხელს აწევენ.

— ჩემი სრული ფეხბურთისადმი უსაზღვრო სიყვარულიდან გამომდინარეობს. პრეზიდენტობა შემოიღია, პოტენციაც მაქვს და მოქალაქეთა კავშირის მხარდაჭერის იმედიც, მე ამ კავშირის წევრი ვარ.

— ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობა ბოლო დროს გამოსწორდა. ეს თქვენი, ჟურნალისტების დამსახურებაა, თუმცა მინც უამრავი ხარვეზია. იგივე ჩაწყობილი თამაშები, ჩვენ რომ ვამბობთ, ასეაო, ისინი გვეუბნებიან, ერთი მაგალითი დაასახელოთ. როცა ქომაგმა ანგარიში წინასწარ იცის, სტადიონზე არ მივა.

— მსაკვების დონე დაბალია და პირდაპირ გეტყვით, მსაკვია კოლეჯი მთლიანად უნდა შეიცვალოს. პასუხისმგებლობა თუ არ ამაღლდა, ყოველთვის ასე იქნება.

— სახელმწიფოს დაუსმარებლად არაფერი გამოვა. მარტო ფედერაციაში მომუშავე ხალხი ვერაფერს გააკეთებს, „აიაქის“ საფეხბურთო სკოლას სახელმწიფომ მილიონობით დოლარი დაასარჯა. შედეგაც სახეზეა.

— მე რომ კანდიდატურა წამოვიყენებ, რა თქმა უნდა, სახელმწიფოსა და სპონსორების იმედი მაქვს. ვეცდები, ყველა პარტიოსანი გზით მოვიზიდო ქართულ ფეხბურთში ინვესტიციები. რაც შეეხება უცხოელებთან ურთიერთობის დამყარებას, მგონი, ამასზე იოლი არაფერია.

— სირცხვილია, მომავალ ყრილობაზე ფეხბურთის ვეტერანებს ერთი მანდატი ჰქონდეთ. ქართული ფეხბურთის წარსულმა ჩვენს მხრებზე გადაიარა, ესენი კი აბუჩად გვიბღებენ. თითო თაობისთვის თითო მანდატი მინც მიეცათ.

— გარანტიას გამძლევე, ჩემი პრეზიდენ-

ტობის შემთხვევაში ყოველ კვირას ფედერაციაში დია კარის დღე იქნება. არავისთან არაფერი გვექნება დასამალი. გპირდებით, ყოველ თეთრს მიზნობრივად დავხარჯავთ და ხალხსაც ეცობინება, ფული სად გაიხარჯა. თითოეულ თეთრს გამოვამზაურებთ.

— ჩემიონატის ჩატარების სისტემა უნდა შეიცვალოს. მონაწილე გუნდების რაოდენობის დაკონკრეტება ახლა ძელია. თუმცა, უეჭველია, მათი სიმრავლით ფეხბურთის დონე არ ამაღლდება. კონკურენცია ყველაფერის წამალია.

— ფედერაციის ახლანდელი შემადგენლობა მთლიანად შესაცვლელი არაა, მაგრამ ზოგიერთი არ იმსახურებს იქ მუშაობას.

— პროფესიული საფეხბურთო ლიგის ჩამოყალიბების შესახებ წინა ყრილობაზე ითქვა, მაგრამ დღემდე რატომ არაფერი გაკეთდა, თავადვე ისაუბრონ. მე არაკომპეტენტური ვარ. ასე არ შეიძლება.

— სპორტის დეპარტამენტს ყველა უფლება ჰქონდა, ფეხბურთის ფედერაციაში მიმდინარე დარღვევებზე ზედგულანა მოეხდინა. იმ დღეის დროს მე სპორტის დეპარტამენტისკენ ვიყავი. მართლმეტი იყვნენ და იმით.

— პრეზიდენტი თუ ვერ გავხდი, ნებისმიერ თანამდებობაზე ვიმუშავებ, თუნდაც გენმდივანად, მაგრამ თოჯინა არ ვიქნები.

— ჩემს საპრეზიდენტო პროგრამაზე მაკლდე გეტყვით, როცა მიზანშეწონილად ჩავთვლი, ვრცელად მამინ გამოვაქვეყნებ. ფედერაციის წესდება ზომ ამის უფლებას ყრილობის დღესაც იძლევა. პირად, ჩათვალეთ, რომ ესეც ჩემი ტაქტიკური სევაა. ისე, გეტყვით, პროგრამა უცხოური ქვეყნების ანალოგებისა და საქართველოში მრავალი წლის მანძილზე დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებითაა შედგენილი.

კობა ინასარიძე




გოგოლაძემ ცალი ხელით ბრინჯაო მოიპოვა, ორით კი მხოლოდ ვერცხლი

ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო ქართველებსთვის

მალიან ნუ იდარდებთ, ქვეყანა არ დაქველდა, დაქველდა კი არა, ჩვენი დღევანდელი გაჭირვებული ყოფის პირობაზე საქმე მოსალოცად გვაქვს. მინსკში წუხელ დამთავრებულ კრივის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ორმა წევრმა მედალი მოიპოვა: 60 კილოგრამში ვერცხლის მედალი კობა გოგოლაძემ დაიმსახურა, ხოლო 51 კილოგრამში ბრინჯაო — რამაზ გაზაშვილმა.

მისწვი იმ იმედით დავრეკეთ, გაჩემბინებული კობა გოგოლაძის მიერ გერმანელი ჰუსტეს ცემის ამბავს შევიტყობდით, მაგრამ გერმანელი უმარჯვია, 2:0 დაუმარცხებია შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ქართველი მოკრივე. ძალიანაც ნუ იდარდებთ, თუმცა როგორ არ ვიდარდით, თურქეთის სახელით მოჩუხარმა რამაზ ფალიანმა ფინალში სომეხი აილეტი გალახა და ევროპის ჩემპიონობაც მოიპოვა.



მიაჰ ჰაიენინი მონტე კარლოშიც პირველი იყო ფინიშის სწორზე

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

კვლავ ჰაკინენი

გუშინ მონტე კარლოს ტურნეში გამართული „მონაკოს დიდი პრიზი“ კვლავ მიაჰ ჰაკინენის გამარჯვებით დასრულდა. ფინელმა პილოტმა ამ სეზონში მეოთხედ მოიპოვა პირველობა და კიდევ უფრო დაწინაურდა პირად ჩათვლაში. მერე იტალიელი ფიზიკელა გახლდათ, მესამე — ირვინი. მშვენივრად იასპარეზეს „ეროლუსის“ პილოტებმა, რომლებმაც გუნდს 4 ქულა მოუტანეს. სალო მეოთხე იყო, დინიცი — მეექვსე. მეხუთე პოზიციაზე დაასრულა ასპარეზობა მსოფლიოს ჩემპიონმა ვილნევემ. ამ სეზონში კიდევ ორი მიითვალა. არ გაუმართლა კულპარდს, რომელიც ტექნიკური მიზეზების გამო გამოუთიშა რბოლას, მიხაელ შუმახერი კი ვურცთან მცირე კოლიზიის შემდეგ მე-10 ადგილით დაკმაყოფილდა.

მერანმა მზადაა დაინყო



ჯონი ჯანელიძეს „მერანთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა, და უმუშევარია

— და ისევ მწვრთნელის ცვლილება. ამჯერად თბილისის „მერანის“ ჯონი ჯანელიძემ მიატოვა. ორი წლის განმავლობაში, რაც გუნდი პირველ ჯგუფში თამაშობს, „მერანს“ მერე მწვრთნელი გამოეხიზოვა. გენსებებთან, მარშანდელი წარმატებული სეზონის ბოლოს ნუგზარ ნავაძემ თემურ მახარაძესთან აღარ ისურვა კონტრაქტის გაგრძელება. იგივე მოხდა ასლაც სეზონის ბოლო, წაგებული მატჩის მერე ჯონი ჯანელიძის ერთწლიან კონტრაქტს ვადა ამოეწურა და ისიც უსაქმოდ დარჩა.

როგორც კი ეს ამბავი გავიგეთ, ჯონი ჯანელიძეს კომენტარი ვთხოვეთ.

— რა მოხდა, მგონი, საგანგაშო არაფერია — აუღელვებელი ტონით გვითხრა „მერანის“ ყოფილი მწვრთნელი — კონტრაქტი დამითავრდა და გუნდიდან წავედი. ჩვეულებრივი ამბავია, მწვრთნელის ბედი ასეთია.

მწვრთნელი თემურ მახარაძე ხელმძღვანელობს. თავმოყვარე „მერანისთვის“ მწვრთნელის შეცვლის მიზეზი შეიძლება ასეც ყოფილიყო. თუმცა, ნუგზარ ნავაძე სხვაგვარად თვლის.

— ეგ რა მიზეზია, ფეხბურთია, ხან წაავებ, ხან მოივებ. უბრალოდ, „მერანის“ უფროსობამ საჭიროდ აღარ ჩათვალა, რომ ჯონი ჯანელიძეს კვლავ გუნდში ემუშავა. ერთმანეთს კეთილგანწყობილად დაეშორდით.

— ახალ მწვრთნელზე არ გიფიქრიათ? — როგორ არა. ეს საკითხი მამინვე გადავწყვიტეთ. ამიერიდან „მერანს“ სერგო გაბელაია უთავაყავს. კონტრაქტი უკვე გაფორმებულია.

— სხვა ცვლილებებიც იქნება.

— არის გუნდიდან დაკითხვითი ზაზა ინიშვილი. გუნდის ინტერესები ასე მოითხოვდა. ზაზა თუ საქართველოში გააგრძელებს ბურთაობას, მის ახალ კლუბს კაპიტი არ მოვთხოვთ, ხოლო თუ უცხოეთში გადავა, მამინ მხოლოდ საკომპენსაციო თანხას დავუბაულებთ.

— მწვრთნელი ფეხბურთელიც მიჰყავს. ფინანსურად ყველაფერი რიგზეა?

— საპრეტენზიო არავის არაფერი უნდა ჰქონდეს. ფინანსების მხრივ გაჭირვება არ გვაქვს.

— გოლოს სერგო გაბელაიაზეც. შარშანწინ ფოთის „კოლხეთში“ სოსო ფილიას თანაშემწედ მომუშავემ თბილისში წამოსვლა ირჩია. „მერანის“ მამინვე ჩააბარეს, რომელიც მერე გვეუფიდან პირველში იმწვრთნელად აღზევდა. მერე „მერანში“ მამინვე კონსულტანტად მომუშავე თემურ მახარაძე მივიდა, გაბელაია მისი თანაშემწე გახლდათ. მახარაძე ჯანელიძემ შეცვალა, გაბელაია ისევ თანაშემწე იყო და ახლა დადგა ფაში მისი პირველობისა.

კობა ინასარიძე

სამშაბათობით და ხუთშაბათობით

სარკიელი FRANCE 98

ნარმობიღბანთ მონაწილეებს

adidas Canon Coca-Cola Gillette JVC Opel Philips

ROLAND GARROS '98



დღეს საფრანგეთის დედაქალაქში სეზონის ოთხი დიდი სლემის ტურნირიდან მეორე — საფრანგეთის ღია პირველობა, იგივე როლან გაროსი იწყება. პარიზში წლის ყველაზე რთული და მოსაგებად ბევრისთვის ყველაზე სასურველ შეჯიბრში პლანეტის 128-128 საუკეთესო ვაჟი და ქალი იასპარეზებს, თუმცა, ორკვირიან მარათონის შემდეგ ჩოგბურთის ისტორიაში ადგილის დამკვიდრებას — ცენტრალურ კორტზე მთავარ პრიზის აღმართვას მხოლოდ თითო რჩეული მოახერხებს.



საფრანგეთის ღია პირველობა უკვე მეორე ასწლეულში შეაიჯავ, თუმცა საერთაშორისო სტატუსის მოპოვება და საკუთრივ ცნობილ როლან გაროსის სტადიონზე დაფუძნება უფრო გვიანდელი ამბავია. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტურნირი ჯერ კიდევ 1891 წელს ჩატარდა, ნამდვილად ღია და ყველა ქვეყნის ჩოგბურთელებისთვის ხელმისაწვდომი იგი მხოლოდ 1925-ში გახდა, მანამ კი პირველობას ერთმანეთს მხოლოდ ფრანგი, ან ადგილობრივ კლუბებში მოასპარევე სპორტსმენები ეცილებოდნენ.

საკუთარი ადგილსამყოფელის ძიებაში ტურნირის საერთაშორისო სტატუსი სულაც არ დახმარებია — იგი კვლავაც ხან კლუბ „რასინგი“ იმართებოდა, ხანაც „სტრასბურგში“, თუმცა ეს ელიტარული ალაგები ლეგენდარული ფრანგი ჩოგბურთელების, „ოთხ მუშეტურად“ ცნობილი ფაკ „ტოტო“ ბრუნილის, ფან ბოროტრას, ანრი კოშესა და რენე ლაკოსტის ორთაბრძოლების ნახვის მსურველთა მცირე ნაწილსაც კი ვერ იტევდა.

იქნებ უცნაურადაც მოგეჩვენოს, მაგრამ საფრანგეთის ღია პირველობა მუდმივი სამკვიდრებლის გამონახვას დევსის თასს (მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატს კაცებში) უნდა უმაღლოდეს, რომელიც იმ დროისათვის ჩოგბურთის ყველაზე პრესტიჟულ გათამაშებას წარმოადგენდა. საქმე ისაა, რომ რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ მუშეტურებმა 1927 წლის სექტემბერში ამერიკელებს ფილადელფიაში აჯობეს და მთავარი ჯილდო შინ წამოიღეს. ასე რომ, 1928 წლის ივლისისთვის დაგეგმილი მატჩი-რევეანსისთვის ფრანგებს ძვირფასი პრიზისა და ათასობით მაყურებლის შესაფერისი სარბიერის სასწრაფოდ აგების პრობლემა გაუჩნდათ.

ამ მიზნით პარიზის თავკაცებმა სოლიდური თანხა გამოყვეს, „სტად ფრანსე“ კი, თავის მხრივ, პროექტს სამი ჰექტარი მიწა გადაულოცა, ოღონდ ერთი პირობით: მომავალ სტადიონს მისი ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი წევრის, როლან გაროსის სახელი უნდა ეტარებინა — კაცის, რომელიც ჩოგბურთისაზე მეტად საპაეო გმირობებით იყო ცნობილი და პირველი მსოფლიო ომის დროს, 1918-ში საპაეო ბრძოლაში დაიღუპა, 30 წლისა.


ასე იქცა გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ როლან გაროსი ლეგენდად.

სტადიონის მშენებლობა კი ათიოდ თვეში დამთავრდა. თავიდან უზარმაზარ ცემენტის სტრუქტურაში მხოლოდ რამდენიმე ხის ტრიბუნა იყო მოწყობილი, მაგრამ სათიხნარო ჩოგბურთის მექას საფუძველი უკვე ჩაჭკოდა.

ცენტრალურ კორტზე პირველად სუსტი სქესის წარმომადგენლებმა იასპარეზეს: ინგლისელი მის ბენეტი ფრანგ მადამ ლაფორის შეხვდა და რაკიდა ფრანგული წყაროები მატჩის შედეგზე დუმან, უნდა ვიკარაუდოთ, რომ ეს ორთაბრძოლა მასპინძლის სასარგებლოდ არ უნდა დამთავრებულიყო. სამაგიეროდ, მუშეტურებმა რენე ლაკოსტის (სწორედ იმის, ტანსაცმლის ცნობილ ფირმას რომ ჩაუყარა საფუძველი) თაოსნობით დევსის თასის შენარჩუნებად მოახერხეს და 1933 წლამდე საფრანგეთის ღია პირველობის ჩემპიონის ტიტულაც არავისთვის დაუთმოათ.

ასლაც, როლან გაროსზე გამართული პირველი მატჩიდან 60 წლის შემდეგ ათასჯერ გაფართოებულ-გაუმჯობესებულ-მოდერნიზებულ სტადიონი ისევ ინარჩუნებს ძველებურ ზიბლს და თავისი, გამორჩეული ადგილი უჭირავს საჩოგბურთო ისტორიაში.

ვაგორიტები



როლან გაროსის ნელი კორტები ბევრი სახელოვანი ჩოგბურთელი კაცის სასაკლაოდ და უამრავი მოულოდნელობის ასპარეზად იქცევა ხოლმე, თუმცა, წლებულს როლან გაროსს ერთი უთუო ფაქტორი ჰყავს — მარსელო რიოსი. კიკინიან ჩილელს იდაყვის ტრავმის გამო მთელი აპრილი გაუცდა და კლასიფიკაციაში თავისი პირველი ადგილიც პიტ სამპრასს გადაულოცა, მაგრამ დაბრუნდა და ისევ გამალებით შეუდგა მეტოქეების დაწინაურებას: ბოლო ორ კვირაში თიხნარზე ორი ტურნირის მოგებაც მოასწრო და ამ ათი მატჩის განმავლობაში ერთი სეტიც კი არავისთვის დაუთმოა. ასე რომ, 22 წლის მარსელოს კაცი ვერ გაუმტყუნებს სიტყვებს, საკუთარ ძალებში, როგორც არასდროს, ისე ვარ დარწმუნებული და პარიზშიც გამარჯვების დიდი იმედი მაქვს.

თუმცა თუ როლან გაროსზე რვაგზის ხელმოცარულ პიტ სამპრასს დაუფიქრებთ, გულხელდაკრეფილად ყოფნას არც იგი აპირებს.

როდესაც ამერიკელს ორიოდ დღის წინ ინტერვიუში ჰკითხეს, კვირას, 7 ივნისს სად იქნებით, დაუფიქრებლად უპასუხა, რა თქმა უნდა, ცენტრალურ კორტზე, ფინალის სათამაშოდ. თუ სამპრასის არაერთ განცხადებასაც გავიხსენებთ, ამ ტურნირის მოსაგებად თავსაც დავდებდით, არც ასეთი ვარიანტი უნდა იყოს გამორიცხული.

კანდიდატებად უნდა ვიგულოთ მსოფლიოს მეორე ჩოგანი პეტერ კორა, 10 კილოთი შემსუბუქებული და საუკეთესოთა ოცეულში მიბრუნებული ორგზის ფინალისტი ანდრე აგასი, 1996 წლის გამარჯვებული სოჭელი ევგენი კაფელინიკოვი, შარშანდელი კაცი-სიურპრიზი გუსტავო კურტენი და, რაღა თქმა უნდა, მოთიხნარე ესპანელთა მთელი არმადაც — კარლოს მოია, ალექს კორეთა, ფელიქს მანტია, ალბერტო ბერასატევი, ალბერტ კოსტა და სერბი ბრუგერა.

ბოლო ათი წლის გამარჯვებული ქალები

1988 შტეფი გრაფი — ნატაშა ზურევა 6:0, 6:0
 1989 არანჩა სანჩეს ვიკარიო — გრაფი 7:6 (8:6), 3:6, 7:5

1990 მონიკა სელემი — გრაფი 7:6 (8:6), 6:4
 1991 სელემი — სანჩეს ვიკარიო 6:3, 6:4
 1992 სელემი — გრაფი 6:2, 3:6, 10:8
 1993 გრაფი — მერი ჯო ფერნანდესი 4:6, 6:2, 6:4

1994 სანჩეს ვიკარიო — მარი ჰირსი 6:4, 6:4
 1995 გრაფი — სანჩეს ვიკარიო 7:5, 4:6, 6:0
 1996 გრაფი — სანჩეს ვიკარიო 6:3, 6:7 (4:7), 10:8


1997 ივა მაიოლი — მარტინა ჰინგისი 6:4, 6:2

ქალებს შორის ტურნირის მთავარ ფაქტორიტს მარტინა ჰინგისი. 17 წლის ასაკში ჩოგბურთში ყველაფერის მოგება და ყველას დაამარცხებულ პინგის დიდი სლემის ერთადერთი პირველობა არა აქვს საკუთარ გამარჯვებათა კოლექციაში. როგორც უკვე მიხვდით, ეს როლან გაროსია. შარშანდელშიც მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ტურნირადღე ერთი თვით ადრე ცხნით ჯირითი მოისურვა, მაგრამ ვერაფერი შეიძლო მხედარი გამოდგა და ერთმა რაშმა ისე მოისროლა, მუხლზე ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. მარტინამ როლან გაროსისთვის გამოჯანმრთლება კი მოასწრო, ფინალში გასვლაც მოახერხა, მაგრამ იქ სეზონის პირველი და ყველაზე მწარე მარცხი იწყნია ზორავატ ივა მაიოლისთან. პოდა, ახლა შევიცარიელ გოგოს გასული სეზონის დანაკლისის შევსება ამოუჭირა გულში.

წლებულს პინგის საშინელ ფორმაში მყოფი მაიოლისა უკვე აღარ უნდა ემინოდეს, მაგრამ ზორავატის ნაცვლად ამ ერთ სეზონში მას თანატოლ თუ კიდევ უფრო მცირეწლოვან კონკურენტთა მთელი არმია გამოუჩნდა — იქით დები უილიამსები, აქით ანა კურნიკოვა და მინიანა ლუჩინი, ამ ერთიოდ კვირის წინ კი 18 წლის ამელი მორესიმოდაც გამოყო თავი.

ისე, ქალების ბაღეს წლებულს ბევრი ცნობილი ჩოგბურთელი გამოაკლდა — სხვადასხვა მიზეზთა გამო პარიზში არ იასპარეზებენ ხუთგზის ჩემპიონი შტეფი გრაფი, მისივე თანამემამულე ანკე ჰუბერი, მერი ჯო ფერნანდესი და ზემოხსენებული ლუჩინი, თუმცა საყვარელი ტურნირი ერთი კვირის წინ მაშინ გარდაცვალების მიუხედავად მაინც არ დააღალატა როლან გაროსის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებულმა (16 წელი და 6 თვე) მონიკა სელემმა.

ასე რომ, წინ დიდი ჩოგბურთის 14 დღე გველოდება.



— ნინო, როგორ დიწყო თქვენი მოღვაწეობა ჭადრაკში?

— თამაში 6 წლისამ დავიწყე. მამეცადინებდა ბიძიჩემი, ამჟამად საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ელგუჯა ფხაკაძე, რომელიც ადრე თვითონაც თამაშობდა, მაგრამ ახლა თავის ცოდნასა და ენერჯის მხოლოდ მე მასმარს. სხვათა შორის, დღესაც იგი ჩემი ერთადერთი მწვრთნელია.

— 1997 წელს ფიდეის რეიტინგ-ლისტში მე-13 ადგილი გვკავებთ, წლებულს კი 30-ე ხარო...

— ძირითადი მიზეზი ფინანსური სიძველეები და აქედან გამომდინარე იშვიათი სატურნირო პრაქტიკაა. ტურნირებს შორის ინტერვალები ხშირად ძალიან დიდია, რაც ჩემი თამაშის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს.

— ბოლო წლებში ქართველი მოჭადრაკეები საერთაშორისო სარეიტინგო სისტემებში მაგალითად, გიორგიანი, კახიანი და ლომინიძეები ხშირად ბუნდესლიგაში თამაშობენ. თქვენ თუ მიგლიათ მსგავსი მიწვევა რომელიმე ქვეყნიდან?

— უკვე მესამე წელია, იუგოსლავიის საკლუბო ტურნირებზე ვთამაშობ ბელგრადის საჭადრაკო კლუბის შემადგენლობაში. იქ წელიწადში ორი ტურნირი იმართება: ლიგის პირველობა და თასის გათამაშება. სხვათა შორის, ძალიან ძლიერი შემადგენლობა იყრის თავს. იუგოსლავიის კლუბებში გამოდიან: ჩიბურდანიძე, მარინი, გალიაშვილი, მატყევა, სტეფანოვა, პენგი და სხვები...

— რაი ეს მოჭადრაკეები იუგოსლავიაში სათამაშო ჩადიან, ცხადია, გასამარჯვლოდ შესაფერისი ვერგებია...

— რასაკვირველია, ტყუილად არაიანთამაშებს. საჭადრაკო კლუბები ძირითადად დიდი გაერთიანებებისა და საწარმოების სახელით გამოდიან და დიფინანსდება, ცხადია, მათგან მოდის. სამაგიეროდ, იგივე საწარმოები შემდეგ გარკვეული სახელმწიფო გადასახადებისგან თავისუფლდებიან.

— მოკლედ, იუგოსლავიაში ჭადრაკი პოპულარულია...

— ძალიან იცი, ქუჩაში როგორ გეცნობენ მოჭადრაკეებს? სულ ავტორიტეტს გვთხოვენ, გვესაუბრებიან... ტურნირების ორგანიზაცია და რეკლამაც ძალიან მაღალ დონეზეა. იუგოსლავიაში ჭადრაკი ყოველთვის უყვარდათ და ახლაც ასეა. მდინარი საჭადრაკო ტრადიციებიც გააჩნიათ. 21 მაისს სწორედ იუგოსლავიაში მივემგზავრები. ახლა იქ თასის გათამაშება იწყება. საჭადრაკო ლიგის პირველობა კი, ჩვეულებრივ, აგვისტოში ტარდება.

ნინო ხურციკა: მე ბენელოზა მეოცნება ჯარისკაცი ვარ!

ნინო ხურციკე ერთ-ერთი უძლიერესი ქართველი დიდოსტატია. მას ფიდეის მიმდინარე რეიტინგ-ლისტში 2390 ქულით 30-ე ადგილი უკავია. საჭადრაკო კარიერის მანძილზე მოპოვებული ნოდებები და ტიტულები: 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებს შორის მსოფლიოსა და საჭოთა კავშირის ჩემპიონი; 18 წლამდე ასაკში ევროპის ვიცე-ჩემპიონი და სსრკ ჩემპიონი; 20 წლამდე მსოფლიოს ორგზის და ევროპის ჩემპიონი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი; საქართველოს სამგზის ჩემპიონი ქალთა და შვიდგზის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის; საერთაშორისო დიდიოსტატი 1993 წლიდან... ტურნირები: ერევნის საერთაშორისო შერეული ტურნირი (კასპარიანის მემორიალი) — პირველი ადგილი, გრონიუნგენის საერთაშორისო შერეული ტურნირი — პირველი ადგილი, ლინარესის საერთაშორისო ტურნირი — მეორე-მასამე ადგილები 1997 წელს, მეორე — 1998-ში... რაღაცა აუცილებლად გამოგვრჩებოდა, მაგრამ... ბოლო წარმატებას ნინო ხურციკემ კრასნოდარში, რუსეთის თასის გათამაშებაზე მიაღწია, სადაც ვაჟთა შორის საერთაშორისო ოსტატის ნორმა შესარულა და პირველი ბალი აიღო... და ეს ყველაფერი მამინ, როცა თავად ხურციკის თქმით, იგი ჭადრაკში ვარჯიშს დღეში სულ სამიოდე საათს ანდომებს...



ნინოს გვირგვინი უღაგოდ დაამშვენებდა

— საქართველოს ქალთა ბოლო ერთეულ ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიგიღიათ, რა იყო ამის მიზეზი? — საერთოდ, ჩემი რეიტინგი მაღალეხ იმის საშუალებას, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარე ციკლში პირდაპირ საზონთაშორისო ტურნირიდან ჩავეერთო, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში მანაც აუცილებლად ვითამაშებდი, კრასნოდარის ტურნირს რომ დამთხვეოდა. წინდა სპორტული მოსაზრებებით რუსეთში თამაში ვარჩიე. — შექტემბერში ელისტის საჭადრაკო ოლიმპიადა გაიმართება. საქართველოს ქალთა ერთეული ნაკრების შემადგენლობა ფაქტობრივად ცნობილია. ძირითად დამატებებს ითმამებენ ჩიბურდანიძე, იოსელიანი და არახანია. გასარკვევი მხოლოდ სათადარიგო მითამაშის ვინაობაა. წინა, ერევნის ოლიმპიადაზე ნინო გურიელმა ითამაშა, თუმცა მამინ თქვენი რეიტინგი უფრო მაღალი იყო და ახლაც უფრო მაღალია. — დიხ, იყო ასეთი სიტუაცია. სამწუხაროდ, წინა ოლიმპიადაზე მე ნაკრებში მოხვედრის არანაირი შანსი არ მომეცა, თუმცა ამის დირსი, ალბათ, სამდვილად ვიყავი. მე გავუზავნე მიმართვა ჭადრაკის ფედერაციას, როგელმც

პირდაპირ ნაკრებში ჩარიცხვას კი არ ვითხოვე, არამედ გურიელსა და ჩემს შორის შესარჩევი მატჩის გამართვას. ფედერაციაში ჩემი თხოვნა განიხილეს, მაგრამ არ შესარულეს. ძალიან გულდაწყვეტილი დავრჩი.

ახლა მდგომარეობა ცოტათი შეიცვალა. ფედერაციამ გადაწყვიტა ჯერ საქართველოს ჩემპიონს შემადგენლობის (მათა ლომინიძეები — დგ), ხოლო ჩვენს შორის გამარჯვებულს შემდეგ გურიელთან ითამაშებს. საერთოდ, საქართველოს ნაკრებში თამაში ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იქნებოდა. ჩემთვის და სომხეთიდან შემომთავაზეს, მიმელო მათი მოქალაქეობა და იქაურ ნაკრებში პირველ დამატებებს მითამაშა, მაგრამ უარი ვთქვი. ჯერ ერთი, საქართველოდან წასვლას არ ვაპირებ და მეორეც, ჩვენს ნაკრებში სათადარიგო დამატებებს თამაში პირველად სხვა ნაკრების ლიდერად ყოფნას.


— როლის დამატებები ნაკრების წევრის შესარჩევი მატჩები?

— აუცილებლად ივენისის პირველი რიცხვებიდან, რადგან ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტში ნაკრებთა განაცხადების მიღება 25 ივნისს მთავრდება. პირველ ივენისს იუგოსლავიიდან დამატებები და ალბათ, ლომინიძეებთან თამაშსაც დავიწყებ.

— მსოფლიოს საჭადრაკო ელიტაში გვარიანი არეულობა მეფობს. ძნელი დასადგენია, ვინ ვინ არის. თქვენ ვის თვლით მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკედ?

— რასაკვირველია, კასპაროვს. ახლა ბევრს ლაპარაკობენ, რომ მას კრიზისი აქვს და ამის დასტურად თუნდაც ლინარესის ტურნირი მოჰყავთ, მაგრამ ფაქტი ერთია: მატჩში კასპაროვი ჯერ არავის დაუპარტებია. მას ძლიერი კონკურენტები ჰყავს, პირველ რიგში ანანდი და კრამინი.

ქარაბაკი მოგვინატრა



საქართველო — ბელარუსი: ლევან ქარაბაკი როგორც ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა

უკვე ერთი წელია, საქართველოს ნაკრების წამყვანი მითამაშე ლევან ქარაბაკი გულშემატკივრებს მოედანზე არ უნახავთ. გახსოვთ, ალბათ, შარშანდელი სეზონი ლევანმა ფინეთის კლუბ „ლინიკიში“ დიწყო და გუნდს ქვეყნის თასის მოპოვებაში დაეხმარა, ჩემპიონატში 5-6 შეხვედრა ჩაატარა და მერე მძიმე ტრავმა მიიღო.

— მას შემდეგ აღარც მითამაშია. წინა ჯვარედინა იოგის ოპერაცია იქვე, ფინეთში გაკეთეთ, კარგა ხანი სირბილი კი არა, სიარულიც მიჭირდა. სარეაბილიტაციო ვარჯიშებს უკვე თბილისში ვიტარებდი. ჯერ არ გადამიწვევტია, რომელ გუნდში გავაგრძელებ კარიერას, ახლა მთავარია, ფორმა აღვიდგინო.


ლევან ქარაბაკი იმ დღეს ნაკრების ვარჯიშზე ვიხილეთ. რა თქმა უნდა, საჭირო კონდიციებადვე ჯერ კიდევ შორია. სრული დატვირთვით ვერც ვარჯიშობს, მაგრამ, მთავარია, მკურნალობის კურსი დაუშობრდა და უკვე კალათბურთის თამაში შეუძლია. ახლა ისლდა სასურველი დაუბრუნდეს ნაკრებს, რომელსაც ასე სჭირდებოდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ჩვენთვის უიღბლოდ დასრულებულ მატჩებში.

გიორგი ბიკაშვილი

ჩიპოლინი დაზლი ბახხერსა

იოვია ძნელი იმიტომ, რომ ეტაპის ბოლოს, როდესაც ველოსიპედისტები სამ 4 კილომეტრიან წრეს უკლიდნენ, ჯგროს იტალიელები — ელიო აგინო და მარკო სერაპელინი გაექცნენ და ფრიალი გარჯის შედეგად ჩიპოლინიმ მათი დაწვევა ფინიშამდე 500 მეტრშილა მოახერხა.

მე-7 ეტაპი. მონტელადან მატრამდე. 238 კმ



სარეჟისარი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი 1991 წლიდან თბილისში, დავით აღმაშენებლის პროსპექტის 182 ნომერშია დაბინავებული. მაგრამ ეს ნაკრებთა მის მუდმივ მფლობელობაში არ ყოფილა, რაც რაღა თქმა უნდა, გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა. ამიტომ

ჩიპოლინი დაზლი ბახხერსა იოვია ძნელი იმიტომ, რომ ეტაპის ბოლოს, როდესაც ველოსიპედისტები სამ 4 კილომეტრიან წრეს უკლიდნენ, ჯგროს იტალიელები — ელიო აგინო და მარკო სერაპელინი გაექცნენ და ფრიალი გარჯის შედეგად ჩიპოლინიმ მათი დაწვევა ფინიშამდე 500 მეტრშილა მოახერხა.

მე-8 ეტაპი. მატრამდე. 191 კმ

სუპერმარიომ მეორე დღეს დაბლობში გამართულ რბოლაშიც ძნელი, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი 1991 წლიდან თბილისში, დავით აღმაშენებლის პროსპექტის 182 ნომერშია დაბინავებული. მაგრამ ეს ნაკრებთა მის მუდმივ მფლობელობაში არ ყოფილა, რაც რაღა თქმა უნდა, გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა. ამიტომ

კი. სხვათა შორის, კრამინის კარგად ვიცნობ, ბრახილიაში ერთად ვაგზობთ მსოფლიოს ჩემპიონატზე, ჩემპიონატში კი 18 წლამდელთა ასაკში, მაგრამ კასპაროვი ჯერჯერობით მანაც უძლიერესად მიმაჩნია.

— „ნოკაუტ-სისტემაზე“ რა აზრის ხართ?

— ერთობ მომწონს ეს სისტემა. ჭადრაკი ბევრად უფრო სანახაობრივი და საინტერესო გახდა. ერთია მხოლოდ, რომ მოჭადრაკეებს სხვა სისტემებთან შედარებით უფრო უშლის ნერვებს.

— საუბრის დასასრულს ერთი ტრაფარეტული კითხვა უნდა დავიკითხო. რა არის თქვენში საქართველო-კარიერის პროგრამა-მინიმუმი და პროგრამა-მაქსიმუმი? თუმაცა ეს უკანასკნელი, მე მგონი, თავისთავად ცხადია.

— მეც ტრაფარეტულად გიპასუხებთ: ის ჯარისკაცი რა ჯარისკაცია, გენერლობაზე რომ არ ოცნებობს. ჩემი უმთავრესი მიზანია, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონობა და ამისთვის ყველაფერს გააკეთებ. პროგრამა-მინიმუმი კი პრინციპში მარტივია — კარგად თამაშო...

კიდევ რაღაცის თქმა მინდოდა, თუ შეიძლება...

— კი, ბატონო...

— „სარბილის“ მეშვეობით დიდი მაღლობა მინდა გადავუხადო ბატონ ბერდა გუგავას, სპორტსაზოგადოება „შეგარდენის“ პრეზიდენტს. იგი ძალიან მზრუნველი და ყურადღებიანია ჩემს მიმართ. ყველანაირად მიწყობს ხელს, მაგრამ გარდა ამისა, ბატონი ბერდა პიროვნულადაც იშვიათი ადამიანია და მინდა იცოდეს, რომ უდიდეს პატივს ვცემ.

შეიდი ნლის ნინათ ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინმა საქართველოდან გულდასოვლიანი აიკრა და ჩინეთს დამკვიდრდა, დღეს კი იგი უნგრეთშია. იქნებ დადგადრო, გვირგვინი იმ ადგილს დაუბრუნდეს, სადაც იგი ოცდაათი წლის განმავლობაში თავს მშვენივრად გრძნობდა? ვის შეუძლია გვირგვინის დაბრუნება? „ვეელი გვარდონის“ ჯერ კიდევ მწყობრშია, ხოლო ნონა გაფრინდაშვილისა და მანა ჩიბურდანიძის საქმის ლირსეულ გამგრძელებელთა შორის ნინო ხურციკეც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

დავით გულუშა

სარბიელი

სპორტული გაზეთი გამომდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი: ზურაბ ჟორჯიანი

რედაქტორი: იმამაჩ მიმინაშვილი

ტექნიკური რედაქტორი: გურამ ხალაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ილია ბახუნაშვილი, პასტანა ბუნიკაძე

ფუნქციონირებს განყოფილება: ლეონი გოთლუბი, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონიხე მინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

სხვა სახეობათა განყოფილება: გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში: იუზა კაციტაძე

ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მათა აბხაზიძე, ნათელა გიორგობაძე

კომპიუტერული ცენტრი: ელენე გელუტაშვილი, ნინო დეკაძე, სვეტა დეკაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, ვია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გამომშვეები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი: გიორგი იმამრაშვილი

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29